


“ვიღაც ჩემს საწოლშიც იწვა” თქვა დედა დათვმა.




“ვიღაცას ჩემს საწოლში სძინავს” ტირილი დაიწყო
პატარა დათვმა.





როცა ოქროსთმისმა გოგონამ გაიღვიძა - დაინახა
სამი დათვი "მიშველეთ!" დაიწყო ყვირილი მან.



ოქროსთმიანმა გოგონამ კიბეები სწრაფად ჩაირბინა
და ტყეში გაიქცა. გოგონა ხის სახლში აღარ
დაბრუნებულა.







რაპუნცელი

twinkl

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბებერი ცოლ-ქმარი.
რომლებიც ცხოვრობდნენ ჯადოქრის მეზობლად.



ერთ დღეს ქმარმა გადაწყვიტა მოეპარა კომბოსტო
ჯადოქრის ეზოდან. დაჯოქარმა ის დაიჭირა.




ჯადოქარმა უთხრა, მალე თქვენ გეყოლებათ პატარა
ბავშვი. ის ბავშვი მე უნდა მომცეთ, კომბოსტოების
სანაცვლოთ. კაცს შეეშინდა და დათანხმდა.



როცა პატარა გოგონა დაიბადა, ჯადოქარმა ის წამოიყვანა
და დაარქვა რაპუნცელი.




როცა რაპუნცელი გაიზარდა, ჯადოქარმა ის გამოკეტა
სასახლეში, მიუვალ ტყეში. რაპუნცელი ცხოვრობდა
სასახლეში, მისი ოქროსფერი თმა კი იზრდებოდა და
იზრდებოდა.



როცა ჯადოქარი სასახლეში ბრუნდებოდა, დაუძახებდა
რაპუნცელს, ის თმას გადაუგდებდა და ჯადოქარი
ადიოდა.




ერთ დღეს ლამაზმა პრინცმა მიაგნო ტყეში სასახლეს.
დაინახა ჯადოქარი, როგორ ადიოდა რაპუნცელის თმით.




როცა ჯადოქარი წავიდა, პრინცი აძვრა სასახლეში
რაპუნცელის თმით.



პრინცი სტუმრობდა რაპუნცელს ყოველ დღე.
როცა ჯადოქარმა ეს ამბავი გაიგო, ძალიან გაბრაზდა.



ჯადოქამა გეგმა მოიფიქრა. რაპუნცელს გრძელი თმა
შეაჭრა, როცა პრინცი სასახლეში ადიოდა.




ჯადოქარმა პრინცი დაბლა გადააგდო.




პრინცი ჩავარდა ეკლიან ბარდებში, თვალები დაეჭრა და
დაბრმავდა. დიდი ხანი ის ოცნებობდა სასახლეში
წასვლაზე.




ერთ დღეს პრინცმა გაიგონა რაპუნცელის სიმღერა.




როცა მან დაინახა პრინცი, რაპუნცელმა დაიწყო ტირილი.
რაპუნცელის ცრემლებმა პრინცი განკურნეს და თვალები
აუხილეს.



და ისინი ცხოვრობდნენ დიდხანს და ბედნიერად სხვა
სასახლეში.







წითელქუდა





იყო და არა იყო რა, ცხოვრობდა პატარა გოგონა სახელად წითელქუდა. მას ეხურა ბებიას მოქსოვილი წითელი ქუდი.

ერთ დღეს დედამ წითელქუდა ბებიასთან გაგზავნა, თან გაატანა კალათით ტკბილეული, პური, რძე და უთხრა: დაიმახსოვრე წითელქუდა, ბილიკიდან არ გადახვიდე.



ბებია ტყის მეორე მხარეს ცხოვრობდა, ამიტომ ტყეში
უნდა გაევლო და შეხვდა მგელი. მგელმა უთხრა:

-საით გაგიწევია წითელქუდა?

წითელქუდამ უპასუხა:

- ბებიას სანახავად მივდივარ.

მგელი მიუახლოვდა და უთხრა:

-ნახე,რა ლამაზი ყვავილებია, დაკრიფე ბებიასთვის,
ძალიან გაუხარებია.

-რა კარგი აზრია!



წითელქუდამ ყვავილების კრეფა
დაიწყო, მგელი კი ბეზიას სახლისკენ
გაიქცა.



მგელი მივიდა ბეbias სახლთან და
დააკაკუნა კარზე.

-ვინ არის?-იკითხა ბეbiამ

-შენი საყვარელი შვილიშვილი
წითელქუდა ვარ.-უპასუხა მგელმა

-ძალიან ცუდად ვარ, შემოდი.

მგელი შევიდა სახლში და ბეbiა
გადაყლაპა.



წითელქუდა მხირულად მივიდა
ბებიას სახლთან და დააკაკუნა.
-წითელქუდა შენ ხარ? შემოდი-
მოისმა სახლიდან ბოხი ხმა



წითელქუდა შევიდა სახლში და ბეზიას
დანახვისას ძალიან გაოცდა.

-ბეზია, ბეზია რატომ გაქვს ასეთი დიდი
თვალები?

-იმიტომ რომ კარგად დაგინახო.

-ბეზია, ბეზია, რატომ გაქვს ასეთი წვეტიანი
კბილები?

ამ დროს მგელმა პირი გააღო და
წითელქუდაც გადაყლაპა.



მგელმა არ იცოდა, რომ ბეbias სახლთან
მონადეირე იყო და მან გაიგონა მგელისა და
წითელქუდას საუბარი.

შევიდა სახლში და უთხრა:

-მგელო ახლავე ამოყარე, რაც გადაყლაპე,
თორემ ცუდ დღეში ჩავარდები. მგელმა მაშინვე
ამოუშვა მუცლიდან ბებია, წითელქუდა და
გაიქცა.



წითელქუდამ და ბებია მადლობა
გადაუხადეს მონადირეს. ბებია ნელ-ნელა
კარგად გახდა, წითელქუდას მოტანილი
ტკბილეული რომ მიირთვა. ჩაეხუტა
წითელქუდას და ცხოვრობდნენ ტკბილად
და ბედნიერად.